№ 1 ივნისი, 1912 წ. ფასი 5 კაპ.

საბავშვო ალმანახი

შოლტი

ალმანახი გამოვა დრო გამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება ,,შრომის'' სტამბაში, მუხრანის ქ. 12, ალმანახისათვის.

სალამი ბენიას!

სალამი ჩემო ბენია!..
ჩემგან თუ რამე გწყენია,
ძმობა და შეგობრობაში,
სუყველა მოსათმენია.

სულელო გამოგცადევი,
შენ კი იმედი დადევი!
ბავშვივით იწყე ტირილი,
მაგითი ვის რა არგევი?!

ბევრსა ვესროლე ჭინჭარი,
დავუფრთხე ძილი, სიზმარი,
შენსავით კი არ ვტიროდი,
მუდამ ვიყავი მღიმარი.

მხოლოთ კი ვიტყვი ამასა,
მეტად ვემდური შმაგასა,
რისთვის მესროლა „შურდული"
ერთი უყურეთ მაგასა!

ბეშტია.

ორგვარი ჰროტექცია სარგებლობაა

ხელის ცოლი უფროსთან. უფროსის კი—მოხელესთან.

ჩემი ლოცვა.

შენ დამიფარე უფალო,
უვიცთა ლანძღვა-კიცხვასა,
ვინც შეჩვეულა ახალათ
გაზეთებისა კითხვასა.

ზარიძის ბიბლიოთეკა
წაკითხული, რომ ჰქონიათ,
მოთერიობენ, მით თავი
ფილოსოფოსი ჰგონიათ.

სიზმარში რაღარ უწერავს,
ვითომ და დრამატურგია,
სიტყვით ქველი და საქმით კი
არავისათვის ურგია!

რომელსაც წმინდა საქმეზე,
არ განუცდია ტრიბუნა,
კი დაძვრებოდა გველივით,
ხალხის ფულები ირგუნა!

ამგვარისაგან დამიხსენ,
გადამეფარე ფარათა,
რომ არ წამიხდეს სახელი,
არ წავეკიდო შარათა!..

შოლტი.

ვ ი რ ს

საწყალო ვირო, ნეტა რას
ჩამოგიყრია ყურები,
მიტომ, რომ დაუნახავსა
და სულელს ემსახურები?!
სუყველა შენი ბრალია,
ბედს ნუ ემდური ტყვილათა,
რა ვქნა, რომ შეგხვდა საბრალოს
მძიმე საპალნე წილათა!
მოგეხმარები იცოდე,
სიტყვას თუ იღებ ყურათა
თავისუფლება თუ გინდა,
შეტლინტკდი შენებურათა.
ჩამოგშორდება საპალნე,
ტყე და მინდორი შენია,
გაგიქარწყლდება ნაღველი,
რაც დღემდის მოგითმენია.
ნუ გეშინიან მგელისა,
თუ სადმე შეგხვდეს წყეული,
წიხლებით ჩაასაკლავე,
სამტეროთ შემოსეული!
ამხანაგები ამხნევე,
გმირული მაგალითითა,
ხალხში გაითქვი სახელი,
საჩვენებელი თითითა!
თუ არა, შენი სიჩუმით,
ვერ ეღირსები სიხარულს
და ვერცა ჩამოეხსნები,
მძიმე საპალნით სიარულს!..

ჭინჭარი.

გიქო და ნიკო

(სურათი)

სცენა წარმოადგენს მიკიტნის დუქანს, გიქო — ხაზეინია, ნიკო — დახდადარი, ცოტა ნაკითხია.

გიქო. ეს გარადოი, რომ დუქნის წინ ხალხს არ უშვებს, ჩვენთვის ზარალი არ არის?

ნიკა. რას ლაპარაკობ რის ზარალია? ხალხს ერეკება და აქ შემოდიან, რიღას ზარალია?

გიქო. მაიცა, ორი-სამი კაცი მითომ რას აშავებს, რომ ერთად არ უშვებენ?

ნიკა. კაცო, შენ გეუბნებიან, მეტ-ნაკლები ლაპარაკი ნუ იცი! კანონი ნებას არ აძლევს გაიგე?!

გიქო. შენი თავის მზემ, შენ კანონები და ზაკონების წიგნი სულ დახლში გიწყვია აი, (წყენით) შე ვირო, ხანდახან იმოდენა ვირები დგანან, რომ ბულვარზე ამოდიან ხოლმე, იმათთვის ზაკონი არ არი და კაცებისთვის კანონია?!!

ნიკა. სუ კაცო, ნუ იცი ხოლმე ეგრეთი ლაპარაკი! ერთიც ვნახოთ გაიგო ვინმემ, მერე? შენ ასე გგონია აქ სულ კაი კაცები შემოდიან!

გიქო. ვა, ტუტუც! (აქეთ-იქით იყურება) ვინმე რო იყოს, გიჟი ვარ ემე ვთქვა?! ჰამა ერთი რას გეუბნები და! კაცო, შენ გაზეთები კითხულობ... თუ ქუჩაში სამი-ოთხი კაცი ვერ დადგება, მაშ ჭიდაობაში იმოდენა ხალხი რათ უშვებენ, ჰა! ერთხელ წაველი იმოდენა ხალხი იყო, რომ რა გითხრა ჯერ ერთი შესვლაზე ხალხი სცემეს, ხელი მკრეს, კიბეზე საახალწლო გოგრასავით დამაგორეს!.. ეს არაფერი, შევედი, იმოდენა ხალხი იყო, რომ მეიდანი არა ჩანდა, მერე რანაირათ მაწვებოდნენ! ვა, ძველი პამიდორივით გამჭყლიტეს!.. კანონო! რათ უშვებენ!?.

ნიკა. იმიტომ უშვებენ, რომ ლეგალურია, გესმის?

გიქო. ლეგავოი რომელია?

ნიკა. ლეგავოი კი არა ლეგალური, მთავრობისგან ნება დართული.

გიქო. მე შენი არა მესმის რა... მოიცა ერთი თუ შენ ჭკვიანი ხარ ეხლა გავიგებ!.. მიხეილოვის ქუჩაზე, პროექტორმა რომ არის და, იქ წამიყვანეს... ვაა როგორ ცხელოდა, რამოდენა ხალხი იყო, სულ სიცხისაგან რუსეთის ღორებივითა ვფშვინებდით, ჰამა იქ არავინ გვითხრა თუ რათა ხართ ამდენი ხალხიო, მაშ იქ რათ უშვებენ?!

ნიკა. იქ ბილეთებით შედიან ხალხი და ბილეთებზედ კი მარკები აკვრია, მაშასადამე ლეგალურია!

გიქო. შენ კიდენ ლეგავოი ამბობ!.. ახარ არ გესმის რას ვამბობ და... ეს ზუბიაშვილის თრიატმა, რომ არის, იქ შემიყვანეს, მითხრეს თუ სალიტრო დილა არისო. ვიფიქრე ცხეთიდან კაი ლიტრები ექნებათ მოტანილი და მეც დუქნისთვის რამდენიმე ხელადას ვიყიდი. . მახლას უყურებ კაცო, რა ლიტრა, რა ხელადა, რა კოკა, ბანჩუნის?! რალაც ნაირი ჭრელი ხალხით იყო სამსე. ერთი წვერიანი კაცმა გამოვიდა, მერე დაახველა მერე დაიწყო ერთი დავთარის წაკითხვა, ჰამა გათავება კი ვერა ვნახე...

ნიკა. (აწყვეტინებს) მერე რა გაიგე?

გიქო. კაცო, რა უნდა გამეგო? ჩემ გვერდზე ერთი სუქანი კაცი იჯდა, ისე მაგრა ხვრინავდა, როგორც წისქვილი! მეც დამეძინა, რო გამამეღვიძა საათმა ვნახე, ოთხი იყო, ჯერ კიდენ არ გათავებულიყო, ვაა, ვიფიქრე, ამათი დილა რომ ეს

არის, მაშ საღამო დილაზე იქნება მეთქი, ავდექი და გამოვედი!

ნიკა. (იცინის) მერე, მერე?

გიქო. მერე ის მინდოდა მეთქო, იქ რაღათ უშვებენ ამდენი ხალხი?

ნიკა. ოცჯერ ხომ არ გეტყვი? ბილეთებით შედიან და ბილეთებს კიდენ მარკები აკრავს თითო ორი კაპიკი ღირს, გაიგე?

გიქო. ჰოო, ეხლა კი გავიგე! ეგრე მითხარი რაღა! ჰამა ერთიც ესა ფთქვათ, ეს ხალხი, ქუჩაში რომ არ უშვებენ განა ყველანი უბილეთოები არიან? ან თუ არა და, ქუჩა ხომ თრიატმა არ არის?!

ნიკა. თეატრი კი არა ცირკი არ გინდა! იმიტომ **არ** უშვებენ, რომ არაფერი ცუდი ილაპარაკონ!

გიქო. (გაკვირვებით) მაინც არაფერი მესმის, ჰამა, მე ვფიქრობ, რომ ეგენი სულ ერთობის ხალ" ხის ბრალი იქნება ჰაა!

მ. ლელაშვილი.

მესტვირული

თოხსა ვაყუდებ კუთხეში,
ფაცხის კარს ვტოვებ ღიასა,
თორთქოლო კვერცხით გავილბობ —
სიცხით ჩახრაკულ ყიასა.
ჩავბერავ თხისა გუდუნას
სტვირი დაიწყებს წკრიალსა,
დაბა-სოფლებსა დაუვლი
და ვუზამ რევიზიასა.

პირველ ვესტუმრო **ლანჩხუთლებს**
მგონია ასე სჯობია,
თუ არ დამკბინა ქუჩებში
იმდენი ძაღლის ჯოგია.
სამკითხველოის გამგენო!
ჯერე ღირსნი ხართ ქებისა,
ყოჩაღათ არის კირილეც
ეცადეთ რაც გახთებისა.
დამხმარე ძლიერ ცოტა გყავთ,
ბევრი—შემშლელი ხელისა,
სხვა კიდევ ყველა ყველაა—
საქმე მაკვირებს მღვდელისა.
ცოდვა არ ითქმის ექიმმაც
გამოახილა თვალია,
წარმოდგენებზე ფაცურობს,
არ ვიცი რაის ბრალია!..
არტისტ ჯაყელზედ რა ითქმის,
მგონია არც უძინია,
წარმოდგენებსა ხშირათ დგამს
მას არა შეუძენია.
აქაურ ნასწავლ ხალხს თურმე
ბევრსა აქვს მისი ჟინია,
ბოიკოტს რაღას ერჩოდენ,
რამ დაუკარგათ ტვინია!..
გეორგობიანს გახლავარ
ნუ მომარიდე პირია,
ტუტუცო, ჭკუა გასწავლე
უზრდელათ ნუღარ ყვირია,
ვითომც ქალებსა პატრონობ,
მით გამოიწვი პირია,
დეე იყვირე, იხტუნე—
ქვეყნათ ათასი ვირია,
მხოლოთ ქადნებას რას მერჩი
ხომ ხედავ ვშიშობ, ვსტირია.
სალამი სიხარულიძეს,
აქაურ პედაგოგსაო,
ორ აბაზიან წიგნებში
რომ იღებს თორმეტ გროშსაო!

ჩიბათის მასწავლებლებო!
ფრაზას რომ სწერავთ მაგარსა!
არ გახსოვთ ჭანტურაიამ
მგლურად რომ ეცა მაკარსა?
მოიგონეთ ამ ორთა
ნუნუას მოყვარულობა,
მეტადრე ჭანტურაიას
ხალხიდან სიყვარულობა,
სკოლის დარბაზში ქეიფი,
ძმა ბიჭთა დარაზმულობა,
მერე სროლა და სუდები,
სტრაქები, გაბაწრულობა!
ბავშვებთან მათი ჩარჩობა,
ქალების არეულობა,
ასეთებს ზურგსა უმაგრებთ
ქე გყოფნით გაბედულობა?!

აცანის მასწავლებლები,
რაღა თქმა უნდა მტრედია,
საქმის გარჩევა გვიანობს,
ესეც იმათი ბედია.

გადავღიღინდეთ **ჯურუყვეთს**—
ვესტუმროთ ცენტერაძესა,
ზოგს მერმისათვის გადავდებ
იმის საგმირო საქმესა,
ამხანაგოვო წაშალა,
დიდ ვინმეთ არის ქცეული,
ჟურნალ-გაზეთებს აფურთხებს
ლოთათ ქუჩებში თრეული.

სხვაც ბევრო პედაგოგებო
გეიხესაპეთ ჭკუაში
რავდენი ვარესებიც გყავთ
სჯობს დაეტიოთ თქვენს ტყავში.
დროიძეებო — ჭკარით ბუკს,
სტენეთ ფულები ქესაში,
რას ერჩით ივერიელსა
რაღას გვაწუხებთ პრესაში?!.
ეხლა კი კბარა გუდუნავ—
მეტკინა საფეთქელიო,
ხვალ ორშაბათი დღეია
ყანა მაქვს საფუგნელიო.

იგი შენ.

ე ქ ი მ ი. არ ვიცი ღმერთმანი, ეს ქალი მართლა ავათ არის თუ ჩემი მახეში გაბმა ჭნდა.

ჭ ი დ ა ო ბ ა შ ი.

ჭიდაობაში წავედი,
ეშმაკათ, ფათერაკათა,
პოლიციელი წიგნებზე
გამიხდა ჰაკარაკათა.
ღვთის მადლით, ამას გადავრჩი
არცა ღირს ლაპარაკათა,
რომ არ მენახა სხვა რამე
გულისა დასახრაკათა.
ქანდარის კარი გაალეს,
ხალხი მიაწყდა კიბესა,
აქ „კონტროლებმა“ იყვირეს,
რაღაცა მოაკიბესა;
მოცვინდნენ პოლიციელნი,
ხალხი სილებით ტყიპესა,
ფულსა აძლევენ ცემისთვის!
ემტერებიან ჯიბესა?!

უყურებ ბევრი ხალხია,
მრავალი დაუთვლელია,
ნამეტანისა სიცხისგან,
ყველა ოფლითა სველია,
აბანოსავით ბული დგას,
სულისა ბრუნვა ძნელია,
ნეტა რა ძალა ადგიათ?
მართლაც რომ საკვირველია.

ან კამი!ია ხომა გვყავს,
თბილისში სანიტარული,
რომ უფრთხილდება მითომ ხალხს
აშკარაა თუ ფარული,
რა გასართობი ეს არის,
რა არის აქ სიხარული?
არ აფრთხილებენ რატომ ხალხს
თუ კი აქვთ მათ სიყვარული?!

რატომ არ ეუბნებიან,
„ეს საქმე მაწყინარია“,
რომ მოწამლულის ჰაერით,
არავის გაუხარია.
ამა საქმისა ამყოლი,
მგონი ჭკუაზე მცდარია,
გარბიან ნეტა რისათვის,
წვიმა არის თუ დარია!

ან პოლიცია რას ფიქრობს,
რა გვარ შეცდომას ჩადიან,
სამ კაცს, რომ არსად უშვებენ,
ამის გაგება მწადიან,
ორი და სამი ათასი,
ჭიდაობაში შადიან
ეს სადაური ფიქრია?
ვტირი, ვიკინი მადიან!

თევზმა სთქვა: „თუმც მაქვს სათქმელი
პირი სავსე მაქვს ქვიშითა,
მენაც ეგრე ვარ მოძმენო,
ხმას რომ ვერ ვიღებ შიშითა,

საქმეს ვერაფერს გავაწყობთ,
ქალურ ტირილით, ვიშითა!
არ შეუდრკება დროებას,
ვინც ვაჟკაცია ჯიშითა!..

შმაგა.

— ნება მომეცი ბარიშნა, გაგიარშიყდე.

— არა, ნუ ირჯებით, მე უფრო კოხტა კავალერები მომწონს.

— ვა, შე დალოცვილო! მეც იმიტომ მომწონხარ რომ კოხტა ხარ და!..

ს ი ზ მ ა რ ი

ჩემო დიდებავ, შენს სპეტაკ აჩრდილს,
მუდამ ვდარაჯობ ღამის წყვდიადში,
ეგებ კვლავ შენი ხმა გავიგონო,
გაწამებულმა მე განთიადში.

ეგებ მელხინოს მე დატანჯულსა,
კვლავ დავსტკბე შენი ტკბილი ღიმილით,
შენი აჩრდილი წინ მელანდება,
თვალნი ცრემლს აფრქვევს შენთვინ ტირილით.

აცრემლებულსა უცებ ჩამოვლიმა,
სიზმარში გნახე ტურფათ მოსილი,
ხელ აპყრობილი ჩემსკენ მორბოდი
მეც ზე ადვსდექი ლხენით აღვსილი.

უცებ შემკრთალმა თვალი ვახილე,
მიმოვიხედე, არ იყავ შენა,
კვალათ ცრემლებით მოვრწყე მიდამო,
დაბნელდა თვალნი, დადუნდა ენა!

მთლად არე-მარე გადამიბნელდა,
მიწას დავეცი ამდუღრებული,
მხოლოდ იმათ ღა მიუქვითინე,
ჩემი სიცოცხლე გამწარებული.

ნიკო.

მოკლე პასუხი.

(ერთ „ეშმაკის მათრახელთაგანს“)

მართლა, რომ გასაკვირალია ზოგიერთა პირთა უსაფუძვლო მსჯელობა. მოგვადგებიან და გვეუბნებიან (ვისაც აეწვებათ) თქვენი ალმანახი უაზრო და გამოუსადეგარი არისო! საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი და უფრო ხალხნო შეუგნებელნო! თუ ჩემი ალმანახი არ ვარგია, უკეთესი გამოეცით და მით გაახარეთ მკითხველები!

მაგალითად „ბათუმის გაზეთი“-თ გვისაყვედურებს ვიღაც „ეშმაკის მათრახელი“: „როცა თქვენ ალმანახს ვკითხულობ, გული მერევაო“! წარმოიდგინეთ, დალოცვილს ჰუმი წვადი მიურთმევია, ან თუ არა—ღომი უმლაშო თევზით, ზედ „სვირული“ დაუყოლებია და ასე ჭგონებია, რომ ჩვენმა ალმანახმა მორია გულის ზიდილი! დალოცვილო ზომიერათ უნდა ჭამაც და სმაც, თორემ გაზეთი როგორ აგირევთ გულს? შეიძლება გვერდი აგეწვათ და მიტომ დაგაწყებიათ სლოკინი?! ეგ სულ სხვა არის!..

შხანკოლას რას უკიჟინებთ?—„ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელი იყო და ახლა გლახა ჟურნალში თანამშრომლობსო!“ უკაცრავათ! ჯერ ერთი, რომ თვით გამომცემელი ამ ალმანახისა ძველი თანამშრომელი გახლავართ „ეშმაკის მათრახი“-სა (თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ თვით ეშმაკს). ჩემის აზრით ყოველი მწერალი პირუთვნელი უნდა იყოს და ასეთია თვით შხანკოლა...

კარგათ მახსომს, ნოე ჟორდანიას და ილია ჭავჭავაძის პოლემიკა, -კვალში“ და „ივერიაში“, მაგრამ ნეტარხსენებული ეგნატე ნინოშვილი, ერთ და იმავე დროს ორივეში თანამშრომლობდა!.. რატომ არ გაურისხდა ან ნოე, ან ილია?!. მე ამით ის

მინდა ვსთქვა, რომ მეტათ ახირებული თვისება აქვთ ზოგიერთ ახალმოდის, ვითომდა ხალხის გულ-შემატკივარ მწერლებს, თუ თავის ჭკუის ორგანო არ გამოდის, ცოდვათ მიაჩნიათ! სხვაგან წერა და ეგრე გულგრილათ, ბლუსავით სხედან!.. აი თქვენი შეცდომა ბ-ნო კორესპონდენტო. დასამტკიცებელ საბუთათ ესეც კმარა და თუ მაინცა და მაინც ძალიან ახირდებით, მაშინ იძულებული ვიქნებით გავიგოთ თქვენი ვინაობა და ისე აგაკინჭაროთ, მგონი ტვინის რევაც მოგვიდეს.

სიმღერა

სევდით მოცულა სამეფო,
კეთილ-შობილი გრძნობისა
და მთლად ჩამწყდარა იმედი
მეგობრობის და ძმობისა!
შიშსა მოუცავს ქვეყანა,
მამა და შვილი—მტრობასა!
ფესვები შემოხმობია—
ერთობა-მეგობრობასა!..
მაშვრალთა მწარე კვნესითა,
ცა მოღრუბლულა შავათა,
მზეს გადუფარავს პირ-ბადე
არა ჩანს სანახავათა.
სულ ღამე არი, სულ ბნელა!
არც მთვარე, არცა ვარსკვლავი,
ნეტა ბრმა ვიყო, არ ვნახო—
სურათი გულის საკლავი.
ღრუბელი ფარავს სამეფოს,
მაშვრალთა ფიქრი—გრძნობასა,
ფერი ეკარგვის—სიყვარულს,
მეგობრობას და ძმობასა.

გიგო მეგრელი.

გაკვრა-გამოკვრით.

(ახირებული პროტესტის ჯამო).

ერთი „ეშმაკის მათრახედთაგანი“ „ბათუმის გაზ.“ № 111-ში პროტესტს აცხადებს ჩვენი ადმინისტრაციის გამოტემაზედ და გაიძახის: „სოზოკადოებისათვის მაგნებელია ასეთი ქუჩის უაზრო ადმინისტრაცია, რადგან ბევრს „ეშმაკის მათრახის“ მაგიერი ჭკონია და სახელს უკარგავს მის თანამშრომლებსაო და სხვ...“

ასეთი პროტესტები და საუვედურები ქართულ პრესაში ბევრჯელ მოუსმენია საზოგადოებას და ეურსაც არავინ უგდებს, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ამ უკანასკნელ პასუხია „პროტესტის“ მწერალს ცოტა-დენი განმარტება მივცეთ და მით დავუმშვიდოთ მისი ადშფოთებული გულის რევა, რომელიც ოურმე ჩვენი ადმინისტაციის კითხვას გამოუწვევია.

ეოველი ადამიანი გაურბის იმას, რაც მისთვის მაგნებელია და შე დადგეადო, რადა ჩვენი ადმინისტრაციის კითხვით იწყალებ გულს?!. წაიკითხე სხვა კარგი ეურნალ-გაზეთები (ხომ ბლომათ არის), რომელიც შენის აგებულობისთვის მაგნებელი არ იეოს და ჩვენი ადმინისტრაციის სხვებს დაულოცე, უფრო მაგარი გულის პატრონს.

ჩვენის აზრით ისეთი კარგი ეურნალი ჯერ არ გამოსულა, რომ ყველას მოსწონებოდეს.

თვით „ეშმაკის მათრახ“-საც ბრალვა-ჯერ კამოუცხადეს პროტესტი, რათა დანძგა-თრეების კამეტს არასა ბეჭდა და ის კიდევ სხვებს უკიჟინებდა ასეთ საქციელს. დღიურ კაზეთებმა ხომ სულ ძალა წაიღეს და ერთმანეთის დამცირების კამეტს არას აკეთებენ და მარადაც ამ ზომამდე მიიეგანეს საქმე, რომ საზოგადოების თვალში ბეჭდვითი სიტყვას მნიშვნელობა დაეკარგეს და სამასხარაო გახადეს დღეგანდელი ჩვენი მწერლობა.

აქ კი, თქვენისთანა არა-მგეთხე მატრაკვეცების პროტესტები კი არ არის საჭირო, რომ საქმე გამოკეთდეს, არამედ—რიგიანი ეურნალ-გაზეთების დაარსება, რომ მით დღეგანდელი ქუჩის ეურნალ-ადმინისტაციისა თუ გაზეთების კამოცემა საშუალმოთ მოისპოს.

ვიმეორებთ, რომ ასეთი კამოცემები მაშინ მოისპობა, როცა უკეთესები გამოვა და სანამ ამ უკეთესებს ვერა ვხედავთ, ნება მოგვეცი ბ-ნო „პროტესტანტო“, თქვენისთანა მეტიჩარები ამ ადმინისტაციათ შეგაბეზრეთ.

ჩვენის აზრით ეველა „ეშმაკის მათრახის“ მწერლებს რომ მიეღოთ მონაწილეობა ჩვენს ადმინისტაციაში, მაშინ იგივე „ეშმაკის მათრახის“ გავლენა ექნებოდა და ეოველ შემთხვევაში, არც ერთი მწერალთაგანი თავს არ დაამცირებს იმით, რომ მან თავისი კარგი წერილი ადმინისტაციაში მოათავსოს. პირიქით ამით დიდს ასიამოვნებს ადმინისტაციის მკითხველებსაც და იმათშიაც სახელს მოიპოვებს.

სირცხვილი თქვენი, რომ დღეს, როდესაც არც ერთი ეურნალი არ გამოდის, ეგრე მუნჯებიეთ გაჩუმებულხართ ეუმორისტული მწერლები და თუ ვინმემ რამე დასწერა, იმასაც შურით შესცქერიან!..

ამ მხრივ ეველა თქვენთაგანს აჯობა ბ-ნმა შხანკოდამ. ის ნამდვილი დარაჯი არის ჩვენი პროვინციისა და რაკი რიგიანი ეურნალი არ მოგვეპოვება ჩვენს გლახა ადმინისტაციაც არ თავიდობს წერას და შეძლების-დაგვარათ პასუხს სტენს ეველა სოფლის ჩარჩებსა და გაიძვერებს!

სირცხვილი თქვენი, „პროტესტანტო“, რომ ასეთ მუეაით მშრომელს უსაეველურებთ. თქვენც კარგათ იცით, რომ ეოველი ადამიანი თავის ნაწარმოების პასუხის მგებელია, რაშიაც უნდა დაიბეჭდოს ის და თუ შხანკოდას წერილებს თქვენ პატივსა სცემთ, მით უმეტეს დღეს არის პატივსაცემი, რადგან ბევრათ თქვენზე მაღლა სდგას. ჩვენს ადმინისტაციაში მგონანმა ვაჟ-ფშაველამაც მოათავსა თა-

ვისი ახალი სიმღერა, მაგრამ იშით მას ვერავინ დაამცირებს, თუ არა თქვენისთანა ნერვებ ავშლილი და გულარეული მწერალი.

ვაცხადებთ შენდა დასამშვიდებლათ, (თუმცა ეს ზედმეტათ მიგვაჩნია და ეველასათვის ცხადია), რომ „ეშმაკის მათრახის“ მწერლებს არავითარი სურვილი არა აქვთ ჩვენს ადმანახოან, გარდა შხანგოდასა, შმაგასა და გურიანთელისა, რომელნიც ასრულებენ სინიდისიერ კორესპონდენტის მოვალეობას.

ადმანახს სათაეეში უდგას ბ-ნი მ. ლელაშვილი, რომელიც როგორც გამომცემელი და ხელმძღვანელი ამ ადმანახისა, დიდ მადლობას უძღვნის, თავის მხრით და აგრეთვე ადმანახის მკითხველების მაგიერადაც ეველა იმ პირთ, რომელნიც მას ხელს უწყობენ ადმანახის გამოცემაში და უსასყიდლოთ აძლევენ სხვა-და-სხვა ყურნალებში უკვე დანაბეჭდ სურათებს.

ამ სურათებს ჩვენი ადმანახის მკითხველების ბევრი ნაწილი პირველათ ხედავს და ტეკვილათ ჭკონია ზოგიერთებს მისი ბეჭდვა მნიშვნელობას მოკლებული.

დასასრულ ასე ვეტეკვით ბ-ნ პროტესტის ავტორს: როცა ჩვენი ადმანახების კითხვით ადშფოთდეს და გულს შემოეკარება, კვალათ გადაანთხიოს „ბათუმის გაზეთის“ ფურცლებზედ. ჩვენ იმას არ ვიდარდებთ!..

ღმერთო გვაშორე, მუდამ ეამს —
უკბილო „პროტესტანტებსა“,
ეკიცთა ლანძღვა-გინებას,
სულელსა აბლაკატებსა.
ღეევანდელ ქართულ პრესასა—
ლანძღვა-გინებას ჩვეულსა!..
„ბათუმის გაზეთს“ მეტადრე—
სანაგვეთ გადაქცეულსა.

კვირხილა

წერილები

ვერა. (ოლგას ქუჩა)

ზოგიერთა შოფერი,
არის ძაან ოხერი,
ყვავილებით დარბიან,
ბაირალი სამფერი!

ოლგინსკისა ქუჩაზე,
გავლა არ შეიძლება,
ავტომობილებისა
მტვერითა დაიღრჩვება!

თქვენ დახედეთ ამათსა,
გაუფრთხილებლობასა,
ადამიანთა თელვას,
შეუბრალებლობასა!

მათ კაცი გაუხდიათ
ბატკანი ან ციკანი,

სინიდისს არ უყურებს
ზოგიერთა ციგანი!

სულ ყველაზე არ ვამბობ,
ზოგი არის ახმახი,
შოფერებო გაფრთხილდით,
რომ არ მოგხვდეთ მათრახი!

ვერელი მაშა.

—

ხამტრედია. (ჩვენს რაინდებს)

უდარდელი სეირნობა,
ნარდი, ბანქო, არშიყობა,
ღვინის სმა და ქეიფობა,
ზურნა-დაფით მასხარობა

კაცის ჩეხა, ცარცვა-გლეჯა,
მოტყუება, შური, მტრობა,
ძველებური რაინდობით
მხოლოთა გსურთ თქვენ გართობა.

„ბარაშკაჯანი“ გაიძახით
ყანწით ხელში სარდაფში ხართ
მეგობრების მოღალატე,
მუდამ უფროსებთან ზიხართ.

სამსახური თუ იშოვნეთ,
მაშინ ღმერთი გაგიწყრებათ,
თქვენგნით სხვა რომ იღუპება,
სული აღარ გეტანჯებათ!?

სულფა-ძმა.

—

ქუთაისი. ამ მოკლე ხანში მეეტლე „ჯოსისპარია“ წაიკითხავს საჯარო ლექციას, შემდეგ თემებზე: 1) როგორ უნდა გათახსირდეს საერთოდ მეეტლეების მდგომარეობა, 2) რა საშვალებით და ძალით უნდა გაქარწყლდეს მეეტლეთა შორის პატიოსნება. 3) რა საშვალებით უნდა დაიხსნან თავი მოწონელიძის ვექსილებისაგან და სხვა ტემებზედ, რომელიც შეგიძლიათ თითონ ლექტორთან გაიგოთ. დასასრულ გაიმართება წარმოდგენა მეეტლეთა ცხოვრებიდან; სდგამენ ტრაგი-კომედიას: „პასაჟირის გაღლეტას“. ეს პიესა ცნობილია, რომელიც დადგმულია უთვალავ ჯერ. შესასვლელი ფასი მორიგებით. ბირჟა—აუდიტორია ლაზარეს ფურნის წინ. ადმინისტრატორი კატიბარია.

— აქ უკვე დაარსდა თავისუფალ „მოლრიალეთა“ გუნდი. ტანისამოსის შესაძენათ დახმარებაა საჭირო. იმედია საზოგადოება არ მოაკლებს მათ უყურადღებობას. სადგმი შეძენილი აქვთ საგიჟის პირდაპირ...

ვენერსმეს-დემანურვესმეს.

—

იქიდანვე. (ერთ „ეშმ. მათრახელთაგანს“

მეც მოვისმინე, მეც დავსტკბი,
თქვენი „პროტესტის“ მუზითა,
გეტყობათ ვახურებულ ხართ
საგაზაფხულო ბუზითა!

Ж 82
1912

ძლიერ კარგია ვიცოდეთ
ვინა „ბრძანდებით“ ასეთი,
რომ, გაგხდომიათ აქიმათ —
გწამლობთ „ბათუმის გაზეთი“.

გემჩნევათ, კუდაბზიკა ხ.რთ
მოამბე, არა-მკითხეო!
ალბათ მოგადგა მეტადრე
ჭ-ნჭარისაგან სიცხეო!..

„ზხ.ნკოლას“ რაღ.ს ახსენებთ
ხომ არ გშურთ მისი ტალანტი,
საბრალოვ, ალბათ არ იცი,
იმისი „გურ.ლი კვ.ნტი“?

თუ სადმე გნახა, გიხელთა,
ვაი შენს ბედის წერასა,
ასე გათქმიებს: რა მსჯიდა
პროტესტებისა წერასა!..

ასკ. ბრეგოთეა.

—

ს. აცანა. (გამოცანა-აკროსტიხი).

ამაყი და მედიდური,
ფრანტია და მეტიჩარა;
რაებს ჩადის რომ იცოდეთ,
იტყვით ჯერ რამ აარქარა—
კაცი მზითმა გადარია,
აუ ალა საღერღელი,
ნუ თუ კიდევ ვერ გაიგეთ
იმის გვარი და სახელი?

უფრო ის. არს გასაოცი,
რომ ვაპრობა არ სწადია,
არ დაგიდევს: როცა მოვა
ტყავს გაგაძრობს, გულადია.
არ ეშინის, იცის რომა,
ძალა დროით მიმქრალია;
ერთობა-ძმობა აუზღავს,
არ დააკლებს რაც აკლია.

კიამა?



— ეგ არის შენი დაბარება არ გიდალტეობ?!. მოთხარი ჩქარა, ვინ გორაობდა წელან შენთან? რას ჩაფიქრებულხარ?!.

— მეც იმასა ვფიქრობ და ვერ მოვიგონია იმ შენი „ამხანაგის“ სახელი, რომელიც კამცანი ამ ერთი კვირის წინად.

ალმანახის ფოსტა.

ჩოჩხათი. წივ-დამწვარს. თქვენ ლექსს სრულათ ვერ დავბეჭდავთ, მაგრამ პოეტური ნიჭი რომ გქონია ამ ორი კუპლეტიდანაც შეგატყობს ეველა:

ჩვენი სოფლის ბარიშნები,
ქორწილებზე დადიან!
კაცებთან ღვინოს სვამენ,
ეორაზედ გადადიან.

რომ შევხედე, გავგიჟდი!
ლამაზი და კარგია,
ეშხით მონაქარგია,
მაგრამ მე არ მარგია!.. რა უნდა წაკადგეს?

თუ ცოლათ შეირთავ თვალებისაც დაგწვავენ და ახიც იქნება შენზედ. ჭინჭარის კონას გამოგიგზავნით, ის უფრო წაგადგება, შამოიდე დამწვარ წიგნზედ.

ნატანები. ხოზიკას. თქვენ ლექს ვერ დავბეჭდავთ სანამ დაწვრილებით ცნობას არ გამოგზავნით რომელ სკოლაზედ გაქვთ დაბარაკი. გაგვაგებინე აგრეთვე თქვენი ვინაობაც.

ალ საჩინოელს. ტუსადის დიდინი ვერ იბეჭდება დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

ლანჩხუთი. ზიპლიპიტოს. თქვენი მასალები სამსელ მივიღეთ ერთი და იგივე, რათ ვერ გაიგეთ რომ არ იბეჭდება. მარგები მაინც არ გვნადგებათ.

გურიანთა. ბუატას. თქვენი კამოცანა ვერ იბეჭდება. რომ დავბეჭდოთ, ამა ამას ვინ გამოიცნობს ან რასა გავს: გამოცანას გეტეგვი, მარა
უნდა გამოიცნა ჩქარა,
ის ვინ არის, ვინც სოფელი
აწამა და გაამწარა,

სხვებს რადცას ედაეება,
თავისი ვერ მოახერა,
ლეს მეს დანძდავს, გეშინდელი
მისი ტიკი და ტოკარ!!.

ვიცი ეველა გამოიცნობს,
მეტს არ გამბობ, ეზეც კმარა.

არაფერიც არ კმარა, რა ვიცით ვინ არის!.. ალბათ შენ იქნები.